



**შეგოსავლების
სამსახური**

ბრძანება N 22348

17/08/2018

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

1. „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების ინსტრუქციის“ (დანართი №1) 22-ე მუხლის:

ა) 1¹ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1¹. საგადასახადო ორგანოს თანამშრომლის მიერ საქონლის სინჯის ან/და ნიმუშის აღების ფაქტი უნდა აისახოს „საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების დათვალიერების აქტშიც“, ასევე მითითებული უნდა იყოს, თუ საქონლის რომელი შეკვრიდან (ყუთი, ფუთა და სხვ.) და რა რაოდენობით განხორციელდა სინჯის ან/და ნიმუშის აღება.“;

ბ) მე-3 პუნქტის შემდეგ დამატოს შემდეგი შინაარსის 3¹ პუნქტი:

3¹. ნავთობის ან ნავთობპროდუქტის დროებით შენახვისას, დეკლარანტს ან საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების მიმართ სხვა უფლებამოსილ პირს შეუძლია, სურვეირული კომპანიის წარმომადგენლის მონაწილეობით მოახდინოს სასაქონლო პარტიიდან ნებისმიერი ან ყველა სატრანსპორტო საშუალების გახსნა, სინჯის აღება და ლაბორატორიაში გადაგზავნა.

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

გიორგი თაბუაშვილი

შემოსავლების სამსახურის უფროსი